ისევ ეს "ზაგლემბე"

თეირანი 7 ივნისი. ირანის დედაქალაქში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში "მეგობრობის თასზე" თბილისის დინამოელებს მეორე შეხვედრა ჰქონდათ პოლონეთის ქალაქ სოსნოვეცის "ზაგლემბესთან". დინამოელებმა მატჩი წააგეს – 0:1. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისის "დინამო" ამ გუნდს ერთხელ უკვე შეხვდა (1962 წლის აპრილში თავის მინდორზე) და მაშინაც დამარცხდა –1:2.

თურქეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ფრედ ითამაშა ირანის "ომიდთან"–1:1.

2 ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერია "ზაგლემბე"–3 ქულა.

ლელო 10.06.1971 წ.